



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

30. 04. 2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ქალთა საფეხურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი“-სთვის (ს/კ 212273868) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის (ს/კ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხდომას შემოუერთდნენ საკრებულოს წევრები დავით ჩხარტიშვილი და კახაბერ ასკურავა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მისი განმარტებით სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1800000 ლარი, რომელიც მიიმართა 2019 წლის დაწყებული პროექტების დასასრულებლად, კერძოდ ხიდების რეაბილიტაციაზე 1462502 ლარი და ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობაზე 337498 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სკოლების რეაბილიტაციაზე 520000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოეყო 748000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 მარტის N574 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 იანვრის N136 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 37131 ლარი, სულ ჯამი 98934 ლარი, აღნიშნული თანხიდან 76629 ლარი მიიმართება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსა-ორმეთი-ომფარეთი-წყალწმინდის გზის სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე და 22305 ლარი მიიმართება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფელ გვიმბალაურში საფეხბურთო აკადემიის შენობის პირველ სართულზე იატაკის მოწყობის სამუშაოებზე.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მომართვის საფუძველზე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, რეგიონული ადგილობრივი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო გრანტი 309890 ლარი და აღნიშნული გრანტით დაფინანსდება ორი პროექტი. აქედან ტურისტული მარშრუტების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისათვის 67040 ლარი, მათ შორის გრანტით ფინანსდება 59890 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს 7150 ლარს. გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის შემუშავებისათვის 250000 ლარი.

საფეხბურთო აკადემიის გაზისა და წყლის ჩართვისათვის მიიმართოს 17000ლარი: აქედან გაზის ქსელში ჩართვისათვის 5000 ლარი და წყლის ქსელში მიერთებისათვის 12000ლარი.

ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებში წყლის ქსელზე მიერთებისათვის გამოიყოს 4800 ლარი. ჯურუყვეთის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში ელექტრო ენერგიის ქსელში ჩართვის მიზნით მიიმართოს 800 ლარი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების სანიტარული კვანძის რემონტზე 28000ლარი.

შექმნილი მდგომარეობის გამო მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 50000 ლარით.

აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტში არსებული ნაშთის ხარჯზე.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების წერილის საფუძველზე უნდა შემცირდეს საქონელი და მომსახურების ხარჯი 500 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 500 ლარით. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 08) სოცუზრუნველყოფის მუხლის 693 ლარით შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს ამავე პროგრამის ტრანსპორტის ხარჯი 693 ლარით.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა სოფელ ლესაში სამედიცინო პუნქტის სარემონტო სამუშაოები და გამოთქვა მოსაზრება, რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისთვის ჩადებული სოლიდური თანხები სასოფლო-სამეურნეო კუთხით მიიმართება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სოფელ ლესაში სამედიცინო პუნქტის სარემონტო სამუშაოები დროებით შეჩერებულია ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და განახლდება მაშინ, როცა ჯანდაცვის სამინისტრო გასცემს შესაბამის რეკომენდაციას. მან იქვე განმარტა, რომ ბიუჯეტში ტურიზმის განვითარების კუთხით ჩადებული თანხა გაეროს მიერ გადმოცემულია სოფელ გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის განსახორციელებლად, რომელიც უკვე დაწყებულია.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** მოითხოვა საკრებულოს სხდომას დასწრებოდა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, რადგან მას ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით კითხვები ქონდა უშუალოდ აღნიშნული სამსახურის უფროსთან. დეპუტატი ასევე დაინტერესდა ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილ თანხაში არის თუ არა გათვალისწინებული ლანჩხუთში, წმინდა ნინოს ქუჩაზე გაბიონის ისე გაკეთება, რომ ორი ოჯახი, რომელთა აშენება მილიონი დაჯდება, დანგრევისთვის არ იყოს გაწირული.

საკრებულოს წევრი **კახაბერ ასკურავა** ასევე დაინტერესდა, რატომ არის საჭირო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსა-ორმეთი-ომფარეთი-წყალწმინდის გზის სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 76629 ლარის გამოყოფა და რატომ ვერ აკეთებს ადგილობრივი საპროექტო სამსახური აღნიშნული გზის პროექტს.

საკრებულოს წევრი **იოსებ ჩხაიძე** დაინტერესდა არის თუ არა სუფსა-ორმეთი-ომფარეთი-წყალწმინდის გზა საერთაშორისო მნიშვნელობის.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული გაბიონის გაკეთება დასრულებული არ არის და მის გასაკეთებლად 2019 წლის სტიქიის სალიკვიდაციო სახსრებიდან გამოიყო იმ რაოდენობის თანხა, რომლის ათვისებაც მოხდებოდა 2019 წელს, 2020 წელს გაბიონების გასაკეთებლად გამოიყო 1900000 ლარი, პროექტი გაგზავნილია და დარჩენილი სამუშაოები განახლდება უახლოეს მომავალში. მან იქვე დასძინა, რომ გაბიონის ის ნაწილი რაც გაკეთებულია საკმაოდ ხარისხიანია და ასევე ხარისხიანად გაკეთდება დარჩენილი ნაწილიც.

სუფსა-ორმეთი-ომფარეთი-წყალწმინდის გზის სარეაბილიტაციო პროექტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ეს გზა არის საერთაშორისო მნიშვნელობის, ავტობანის მშენებლობის პერიოდში იგი შეასრულებს ცენტრალური გზის ფუნქციას და ექნება დიდი დატვირთვა, უნდა გაუძლოს მძიმეწონიან სატვირთო ავტომობილებს და შესაბამისად უნდა გაკეთდეს საერთაშორისო სტანდარტებით, რომელსაც ადგილობრივი საპროექტო სამსახური ვერ გააკეთებს, ამასთანავე ოფიციალურად დაპროექტების თანხა განისაზღვრება პროექტის ღირებულების 2.5%-ით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი 3 წევრი (იოსებ ჩხაიძე, კახაბერ ასკურავა, ამირან

გიგინეიშვილი).

მიღებულ იქნა დადგენილება N9 (30.04.2020)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი

სტრუქტურული ერთეულის უფროსმა (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) **ელიკო იმნაძემ** მან განმარტა, რომ პროექტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი ექსპერტიზის შენიშვნების გათვალისწინებით. რაც შეეხება შენიშვნას მერის მოადგილის სარგოსთან დაკავშირებით, 2020 წლის ბიუჯეტის განხილვისას, ფინანსთა სამინისტროს მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა და შეთანხმებულ იქნა სიტყვიერად. ელიკო იმნაძემ იქვე განმარტა, რომ ცვლილება შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის შესაბამისად, „მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისთვის საჯარო მოხელეები ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვალონ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად“. ასევე, ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის (მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი) თანამდებობრივი სარგო აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების სამტატო ნუსხაში, პროექტი მომზადებულია აღნიშნულის გათვალისწინებით და პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** გააპროტესტა, რომ მერის წარმომადგენლები ზემოხსენებული კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვლებიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად, ასევე თანამდებობრივი სარგო რჩება იგივე ოდენობის, რომელიც აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების სამტატო ნუსხაში და შეაფასა როგორც წინასაარჩევნო პოლიტიკური გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი 3 წევრი (იოსებ ჩხაიძე, კახაბერ ასკურავა, ამირან

მიღებულ იქნა დადგენილება N10 (30.04.2020)

გიგინეიშვილი).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყეზიამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის

ლანჩხუთის“ დირექტორმა დურმიშხან ჩხაიძემ და ითხოვა კლუბისთვის საოფისე ფართის გამოყოფა რათა ხელი არ შეეშალოს ლიცენზირების პროცესში. მოგეხსენებათ კლუბი მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა კლუბს სარგებლობაში გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N2-ში, მეორე სართულზე მდებარე 41,99 კვ.მ ფართი N16 (ს/კ 27.06.56.072.01.501). საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს. მან იქვე აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 23 (30.04.2020)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი“-სთვის (ს/კ 212273868) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსმა **გიორგი ნაჭყეზიამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატის“ (ს/კ 212273868) აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა პაატა შავიშვილმა (კანცელარიის N936; 26.02.2020 წ.) რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანias ქ. N 76-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს/კ 27.06.52.002.01.500) საოფისე ფართის გამოყოფა. აღნიშნული ქონება სსიპ-ს ესაჭიროება საკუთარი ფუნქციების განხორციელებისათვის. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა საქსტატს სარგებლობაში გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ჟორდანias ქ N 76-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) მესამე სართულზე მდებარე N15 (11.60 კვ.მ) და N16 (11.92 კვ.მ) ფართები, სულ (23.52 კმ). საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N24 (30.04.2020)

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N25 (30.04.2020)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებას COVID19-ის საწინააღმდეგო ღონისძიებებში აქტიური თანამშრომლობისთვის და ჯანმრთელობა და წარმატება უსურვა მათ. დეპუტატი დაინტერესდა, იგეგმება თუ არა სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობის დახმარება საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროცესში. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ რთული სიტუაციაა სოფლებში ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით, რადგან მოსახლეობის უმეტესობა სოციალურად მძიმე პირობებში ცხოვრობს და შესაბამისად არ აქვს კომპიუტერი და ინტერნეტი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ პრობლემებზე მოსახლეობის დახმარებას, მაგრამ მთავრობა გეგმავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით 54 მილიონი ლარის გამოყოფას, ხოლო რაც შეეხება სწავლებას, იმ მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ კომპიუტერი და ინტერნეტი ჯერ-ჯერობით ტელევიზიით, ცენტრალურ არხზე მიმდინარე ონლაინ გაკვეთილებით მოუწევთ სარგებლობა.

საკრებულოს წევრმა **კახა ბოლქვაძემ** სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფეისბუქზე არის საიტი ARDA-გურია, რომლითაც შესაძლებელია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს პროგრამებით/პროექტებით განსაზღვრული ნებისმიერი დოკუმენტაციის მიღება ელექტრონული ფორმით. მისი თქმით, სასურველი იქნება ამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება თავიანთი საქმიანობის განვითარებისათვის ან საერთოდ ახალი საქმიანობის წამოსაწყებად.

საკრებულოს წევრმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ავტობანთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა, რომელიც

გადის კლინიკა „ჯანმრთელობის“ კორპუსის წინ. დეპუტატის თქმით, ამ კორპუსს ორივე მხრიდან ქონდა ავტომობილით ეზოში შესასვლელი გზა, ახლა გზის გასწვრივ გაკეთებულია მაღალი ტროტუარი და მიუხედავად დაპირებისა არ გააკეთეს არც ავტომობილის შესასვლელი, არც სანიაღვრე არხები და წვიმის წყალი დგება კორპუსის სარდაფში და ეზოში.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო შეჩერებულია ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა და როცა განახლდება სამუშაოები აუცილებლად გაითვალისწინებენ ამ შენიშვნებს.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** მაღლობა გადაუხადა სამედიცინო პერსონალს COVID19 ეპიდემიის საწინააღმდეგოდ გაწეული სამუშაოებისათვის, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერს ვერ ეტყვის მაღლობას, რადგან სოფელ ნინოშვილში მცხოვრები ქალბატონ ვენერა ჩავლეიშვილის შვილმა დეპუტატს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი დედა იმყოფებოდა მოსახლეობის დახმარების სიაში და უსამართლოდ, მერის ინიციატივით, ამოიღეს ამ სიიდან.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის დახმარების სიებს ადგენენ კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებმაც უკეთ იციან თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და შესაბამისად თვითონ არ ღებულობს მონაწილეობას სიების შედგენაში. მან ასევე აღნიშნა, რომ მსგავს საქველმოქმედო ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართულები: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები, ა(ა)იპიები, საკრებულოს აპარატი, კერძო და იურიდიული პირები, რომლებიც თავად წყვეტენ ვის დაეხმარონ.

ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **დავით ჩხარტიშვილმა** განმარტა, რომ ზემოხსენებული დახმარება იყო საქველმოქმედო და შეგროვებული თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი მოსახლეობის იმ რაოდენობის დასახმარებლად, რომელიც თავიდან იყო განსაზღვრული, ამიტომ მოხდა მათ შორის ყველაზე შეჭირვებული ოჯახების მიხედვით სიის დაკორექტირება. დეპუტატმა ბოდიში მოიხადა ამ უხერხული ფაქტის გამო და იმ ადამიანებს, რომლებიც ქალბატონ ვენერასთან ერთად ამოღებული იქნენ დახმარების სიიდან საკუთარი სახსრებით დახმარებას შეჰპირდა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ დახმარების საჭიროების მქონე ადამიანების შერჩევა არ ხდება პოლიტიკური ნიშნით, ხოლო მსგავსი შემთხვევები უნდა იქნეს გათვალისწინებული და შემდგომში დაგვარად გამოსწორებული.

საკრებულოს წევრმა **ციცინო ჩხაიძემ** მაღლობა გადაუხადა მმართველ პარტიას, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საკრებულოს

თითოეულ წევრს და განსაკუთრებით მთელი ქვეყნის მასშტაბით მომუშავე სამედიცინო პერსონალს, კლინიკა მედალფას ხელმძღვანელს, ბატონ რეზო კვაჭაძეს კლინიკის მედპერსონალის სრულ შემადგენლობასთან ერთად COVID19 ვირუსის საწინააღმდეგოდ კოორდინირებული მუშაობისთვის და წარმატებები უსურვა მათ შემდგომ საქმიანობაში, რასაც ერთხმად დაეთანმნენ: მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და დეპუტატები.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

30 აპრილი 2020 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10:58	ბ. ტაბიძე
2	ვლადიმერ ნანაძე	10:55	ვ. ნანაძე
3	ვერიკო კვირკველია	—	
4	ალექსანდრე მახათაძე	—	
5	გიორგი ჩახვაძე	10:55	გ. ჩახვაძე
6	გიორგი გვარჯალაძე	10:58	გ. გვარჯალაძე
7	ემზარ თევდორაძე	11:00	ემ. თევდორაძე
8	ბესიკ კუპრაძე	10:57	ბ. კუპრაძე
9	გოგი მორჩილაძე	10:53	გ. მორჩილაძე
10	სპარტაკ კვაჭაძე	10:58	ს. კვაჭაძე
11	ლელა ჩახვაძე	—	
12	ზაზა წულაძე	11:00	ზ. წულაძე
13	კახა ბოლქვაძე	10:55	კ. ბოლქვაძე
14	ციციწო ჩხაიძე	10:55	ც. ჩხაიძე
15	კარლო კვიტაიშვილი	10:55	კ. კვიტაიშვილი
16	ზურაბ კუკულავა	10:52	ზ. კუკულავა
17	იოსებ ჩხაიძე	10:50	ი. ჩხაიძე
18	ოთარ პატიშვილი	10:55	ო. პატიშვილი
19	ელისო ჭიჭინაძე	10:50	ელ. ჭიჭინაძე
20	ამირან ქანთარია	10:55	ამ. ქანთარია
21	დავით ჩხარტიშვილი	11:00	დ. ჩხარტიშვილი
22	აკაკი იმნაიშვილი	—	
23	ზაალ სანაძე	10:55	ზ. სანაძე

24	რევაზ კვერენჩილაძე	10:55	1. [Signature]
25	კახაბერ ასკურავა	11:00	[Signature]
26	ამირან გიგინეიშვილი	10:50	[Signature]
27	ირაკლი მარშანიშვილი	10:50	[Signature]
28	ცისანა ურუშაძე	—	
29	გოდერძი ქურიძე	10:55	[Signature]
30	კახა თედორაძე	10:55	[Signature]
31	რეზო კვაჭაძე	10:55	[Signature]
32	ვენე კვირკველია	10:45	[Signature]